ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №231148

ნომერი: AR159673

თარიღი : 20.06.2012

გაცემის თარიღი : 28.06.2012

გაცნობის თარიღი : 28.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის 1 მ/რ, N 12 კორპუსსა და სურსათვაჭრობის N 3 უნივერსამს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ მახათაძე პ/ნ 01024001980
- თბილისი მაზნიაშვილის ქ. N4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებასა და №ნ/580-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 18 ივნისს №AR159673 განცხადებით მომართა შპს "ვაუ"-ს (ID 406062004) დირექტორმა ვახტანგ მახათაძემ და მოითხოვა 2010 წლის 05 ივლისის №986 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებასა და №ნ/580-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 05 ივლისს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის I მ/რ, №12 კორპუსსა და სურსათვაჭრობის №3 უნივერსამს შორის არსებულ №036/002 მიწის ნაკვეთზე გაიცა №986 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, ხოლო 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებით შეთანმხდა სასტუმროს მოწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (მშენებლობის სანებართვო მოწმობა №ნ/580-1), რომელშიც მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 13 მარტიდან 2013 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში დამკვეთად მითითებულ იქნა მოქ. დარეჯან კირცხალია.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დგინდება, რომ დღეის მდგომარეობით ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს "ვაუ"-ს საკუთრებას (საჯარო რეესტრის ამონაწერის რეგისტრაციის №882012119138, მომზადების თარიღი 27.03.2012წ., საკადასტრო კოდი: №01.17.07.036.002).
განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა ძველი დამკვეთის, მოქ. დარეჯან კირცხალიას (15.06.2012წ. №120627008) თანხმობა 2010 წლის 05 ივლისის №986 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებასა და №ნ/580-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილების განხორციელებაზე.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ნაწილობრივ დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შპს "ვაუ"-ს (ID 406062004) დირექტორის ვახტანგ მახათაძის 2012 წლის 18 ივნისის №AR159673 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებასა და №ნ/580-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: დამკვეთად დარეჯან კირცხალიას ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ვაუ";
3. საპროექტო დოკუმენტაციას დაერთოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ამონაწერის რეგისტრაციის №882012119138, მომზადების თარიღი 27.03.2012წ., საკადასტრო კოდი: №01.17.07.036.002);
4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მარტის №01/572 ბრძანებასა და №ნ/580-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge